

**მოდუსური გმნები
ანალიზური ტიპის კაუზატიურ კონსტრუქციაში
იბერიულ-კავკასიურ ენებში**
**MODAL VERBS IN CAUSATIVE CONSTRUCTION
OF THE ANALYTICAL TYPE
IN IBERO-CAUCASIAN LANGUAGES**

ლამზირა კობაიძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალციხე, საქართველო

Lamzira Kobaidze

Samtskhe-Javakheti State University
Akhaltsikhe, Georgia

ABSTRACT

Until the 10th century, the Georgian language has not been familiar with the causative as a grammatical category. No morphological, analytical or mixed type samples are found. The structure of the old Georgian language tends to express causative meaning by means of description. Since the 10th century, the construction of analytic causative is applied widely. The tsema verb, in the form of different screeves as well as the category of person, was attached to the infinitive of the conjugated verb in the adverbial case. For instance, mokl-vad-stems (makes him/her kill”), moghebad-stsa (made him/her bring), datserad stsa (made him/her write). tsema is an auxiliary verb which is a conjugated part and it can be preceded by a noun, rarely by a verb or an adverb. stsa tserad (made him/her write), which is the form typical to the ancient Georgian language, is a modal, complex, and transitive verb, presented in the form of different screeves and the category of person in the construction of descriptive causation. The verb tsema itself is identified as a complex verb in combination with other verbs such as kopa, kmna, gheba, deba, tkuma, chena and so on. Among them, tsema is the only one that is used for the formation of causation.

The article deals with the modal verbs of an analytic formation having causative construction in Ibero-Caucasian languages such as Avar, Tabasaran, Abkhazian, Lak, and Dargwa. Modal verbs create quite an interesting semantic field in each of the languages, moreover, Tabasaran and Avar languages mainly use a descriptive form to generate the causation. Here, no organic formation of the causative is observed. The Avar language applies the verb Habize (keteba) as a modal verb, while Tabasaran uses Ghituz (Gashveba) (Ts.B.). It turns out that the analytical formation in those languages was primary and morphological causative had not been developed yet. Cf. Tabasaran, Avar, several groups of Daghestani group of the languages, except for the dialects of Dargwa language, where the auxiliary verb was transformed into an affix, i.e. descriptive causative has become an organic causative. In Abkhazian, an organic

one is presented together with a descriptive one. The Georgian language applies causative markers, not by their present-day function, rather it expresses the meaning of causation semantically. Supposedly, during ancient times, the Georgian language, similar to other Ibero-Caucasian languages, descriptively expressed causation. In the North Caucasian languages, a modal verb denoting analytic causation had gradually been worn away, forming a morphological verbal marker. Analytical causation does not exist without a modal verb. All modal verbs of analytical causative are transitive, turning a causative construction into a transitive one. Therefore, causative and transitive constructions in the Ibero-Caucasian languages are examined as interrelated.

საკვანძო სიტყვები: იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგია, კაუზატივის კატეგორია, მოდუსური ზმნა, ტრანზიტული ზმნა.

Keywords: Morphology of Ibero-Caucasian Languages, Category of Causative, Modal Verb, Transitive Verb.

ძირითადი ნაწილი

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ კაუზატივი, როგორც მორფოლოგიური კატეგორია, X საუკუნემდე არ იკვეთება ქართულ ენაში (სხვა კავკასიური ენის დოკუმენტური მასალა არ არსებობს). მართალია, უძველეს წერილობით ძეგლებში გვხვდება კაუზაციური მარკერები, მაგრამ, როგორც ჩანს, ენა არ იცნობს მსგავსი ტიპის ფორმანტებს ამ კატეგორიის საწარმოებლად. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, არაა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული კაუზატივი, როგორც გრამატიკული კატეგორია. არაა ფიქსირებული მორფოლოგიური, ანალიზური და შერეული ტიპის ნიმუშები. ენის სტრუქტურა მიისწრაფვის იქითკენ, რომ კაუზატიური მნიშვნელობა გადმოგვცეს სემანტიკით. X საუკუნიდან უკვე იკვეთება ანალიზური წარმოების კაუზატივის ფართოდ გამოყენება, რასაც გვიდასტურებს უძველესი წერილობითი ძეგლები. ცალკე გამოყოფა ანალიზურ წარმოებას კაუზაციისა, რადგან სწორედ აქ ვლინდება მოდუსური ზმნების გამოყენება, რომელიც კარგად იყო გამოყენებული ძველ ქართულში, სადაც „შუალობითი კონტაქტის გამოსახატავად გავრცელებული იყო აღწერითი წარმოება. ვითარებით ბრუნვაში დასმულ საუღლებელი ზმნის საწყისს ერთოდა ცემა ზმნა სხვადასხვა მწკრივისა და პირის ფორმით. მაგ., მოკლვად-სცემს, მოღებად-სცა (მოატანინა), დაწერად სცა (დააწერინა), წაკითხვად-სცა (წაკითხვინა). „აღწერითი ტიპის კაუზატივი ყველაზე მეტად II სერიაში დასტურდება“ (სალინაძე 2008: 160). მაწარმოებელი - ცემა მეშველი ზმნაა, რომელიც არის უღლებადი ნაწილი, რომელსაც შეიძლება უსწრებდეს სახელი, იშვიათად ზმნა, ან ზმნიზედა (რომელნიც გაარსებითებულნი არიან) (სარჯველაძე 2004:136).

სცა წერად უძველესი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმაა. საკითხავია, რა არის სცა? რა ზმნაა? სცა უნდა იყოს მოდუსური, რთული, გარდამავალი ზმნა, რომელიც აღწერითი კაუზაციის წარმოებისას

გადმოცემულია სხვადასხვა მწკრივისა და პირის ფორმით. თვითონ **ცემა** დასახელებულია რთულ ზმნად სხვა დანარჩენ ზმნებთან ერთად: **ყოფა, ქმნა, ღება, დება, თქუმა, კლვა, ცუმა, ჩენა, წიფება...** აქედან მხოლოდ **ცემა** ზმნა გამოიყოფა აღწერითი კაუზაციის საწარმოებლად. რთული ეწოდება ისეთ ზმნას, რომელიც ერთზე მეტი ფუძისაგან შედგება. საერთოდ ძველ ქართულში მეტად იყო გავრცელებული მსგავსი ფორმები, რომლებიც იწარმოებოდა სახელისა და მეშველი ზმნის დახმარებით.

მოდუსური ზმნების წარმოშობის შესახებ საინტერესოა ლელი ბარამიძის სტატია, სადაც ნათქვამია, რომ მეშველი ზმნების ჩასახვის პროცესი უნდა დაწყებულიყო XI საუკუნიდან და დამთავრებულია XVIII საუკუნისათვის. მოდუსური ზმნა დაერთვის გარდამავალ ზმნას I თურმეობითში. მეშველზმნიანი წარმოება პირველ რიგში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველაზე მარტივ ზმნებთან გვხვდება. ესენია: რბი-ს, დუმ-ს, წუხ-ს, სძულ-ს... დგა-ს, ჩან-ს. ავტორის განმარტებით, დასახელებულ ზმნებში ხერხდება ზმნური სუფიქსების გამოყოფა დგა-ს – დგ-ან-ს, დეგ-ან-ს... (ბარამიძე 1964: 122). მაგრამ ეს სუფიქსები სხვა დანიშნულებისა ჩანს. მეშველ ზმნას ვერ ვხვდებით **-ებ**, **-ავ**, **-ობ** და სხვა სუფიქსების მქონე ფუძიან ზმნებთან. მეცნიერის აზრით, მეშველზმნიან ფორმათა წარმოშობის მიზეზის გარკვევისას გასათვალისწინებელია ქართველურ ენათა მონაცემებიც, ქართული ენა სრულ ანალოგიას პოულობს. როგორც სვანურში, ასევე მეგრულ-ჭანურში დამხმარე ზმნა გაცვეთილია და, რომ სუფიქსად ქცეულა და ჭირს მისი თავდაპირველი ფუნქციის აღდგენა. სვანურში, იგულისხმება ქვემოსვანური, თორემ ზემოში დაცულია არქაული მდგომარეობა (იქვე: 134), ძველ ქართულში მეშველი ზმნა მხოლოდ აწმყოში გვხვდება, ხოლო სვანური საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს, აწმყოს გარდა ნამყოშიც გვხვდება. მეგრულში მეშველი ზმნა **-ქ** სუფიქსის სახითაა წარმოდგენილი, რომელიც **ქორენ**-ისგანაა მიღებული. ჭანურში იგივე მეშველი ზმნა **-ორენ** // **-რენ** სუფიქსად ქცეულა. მეცნიერის ვარაუდით, ზემოთ დასახელებულ სუფიქსებს (**-ქ**, **-რ**) მეშველი ზმნის ფუნქცია უნდა შეესრულებინათ (იქვე: 138). მაგ., მათ აფხაზურსა და ყაზარდოულში ეკისრებოდათ სტატიკურობის, მდგომარეობის, არსებობის აღნიშვნა. ე.ი მეგრულ-ჭანურის (**-ქ**, **-რ**) სუფიქსები ქართულის მეშველი ზმნის ტოლფარდი ოდენობებია. მეშველზმნიანი ფორმების გაჩენა პირის გამოხატვასთან უნდა იყოს კავშირში, – ასე ასკვნის მეცნიერი (ბარამიძე 1964: 122-138).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსგავსი ფორმით აღიწერებოდა ანალიზური კაუზატივის ფორმები უძველეს ქართულში. გარდა დასახელებული მოდუსური ზმნისა, ძველ ქართულში კიდევ გვხვდება მსგავსი დამხმარე ზმნები, მაგ., **არს**, **ცემა**, მაგრამ ამ ფუნქციით მხოლოდ **სცა** ზმნაა დასახელებული, რომელიც ვითარებით ბრუნვაში დასმულ სახელს დაერთვის. საერთოდ, მოდუსური ზმნები ყველა გარდამავალია. ნათქვამის ნათელსაყოფად უმჯობესი იქნება ნიმუშების მოტანა ნებისმიერი უძველესი წერილობითი ძეგლიდან. რატომ მაინცდამაინც ვითარებითი ბრუნვა აღწერითი კაუზაციის გადმოსაცემად?

„მრწემი ესე იყოს მონაზონ და სულიერად უდაბნოდასა მამათა ამათ და მოიყვანა ჳელითა თვისითა და ჯუარი დაწერად-გუცა ჩუენ და სამოსლითა მოწესეთადთა შემოსა, და ჩუენ სახელი არსენ ვუწოდეთ, და აღუთქუთ შენდა მოწაფედ შვილი მისი ყოფად მსგავსად ჩუენდა და მან უფროსს განიხარა“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება 1986: 89).

„მაშინ ბრძანა კურაპალატმან გზითა იშხნისათა საქმე, რამეთუ მახლობელ იყო ჟამსა მას. და ჰრქუა ნეტარსა მამასა გრიგოლს: „განუგებლად ვქმენ. რამეთუ წიგნი არა მიწერად-გეც“ (იქვე: 93).

მოკვლად-სცემ, დადგმად-ვეც, წარკითხვად-სცა და მისთანები.

დასახელებული ფორმები ანალიზური კაუზატივისა, რომელიც უძველეს ქართულ წერილობითი ძეგლებისათვის იყო დამახასიათებელი, მეტად საინტერესოა თავისი სტრუქტურით. მაგ., ზემოთ დასახელებული ზმნებიდან **დაწერად სცა** თანამედროვე ქართულით გადმოიცემა შემდეგნაირად: დააწერინა. **მოკვლად-სცემ** = მოაკვლევინებ, **დადგმად-ვეც** = დავადგმევინებ, **წაკითხვად-სცა** = წაკითხვინებ... მოდუსური ზმნა ირთავს პირის ნიშანს, როგორც ვხედავთ, იმის მიხედვით, თუ რომელი პირით გადმოიცემა. მაგ., **მიწერად-გეც** = მიგაწერინებ. ან თუნდაც **დაწერად-გუცა** = დავაწერინებ. ენა მეტად თავისებური სისტემაა.

მსგავსი ტიპის ფორმები ზოგიერთი მეცნიერისთვის, მაგალითად, ივ. იმნაიშვილისათვის, უპირველესია, რადგანაც ძველ ქართულში უფრო ადრე გამოჩნდა. ზ. სარჯველაძის მოსაზრებით, ასეთი ფორმები უცხო ენის, კერძოდ, ბერძნულის ზეგავლენით ჩაისახა. კონტაქტი საერთო ქართველური მოვლენაა და სწორედ ორგანული წარმოებაა უძველესი და არა ანალიზური (სარჯველაძე 1984: 474).

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ აღწერითი კაუზატივის გვერდით არსებობდა ორგანული წარმოებაც, რომ აღწერითი ფორმები ადრეულია და შემდეგ მოხდა მათი შეცვლა ორგანულით. ვფიქრობ, აღნიშნული საკითხის ღრმა და საფუძვლიან კვლევას მოითხოვს ძველ ქართულში.

საინტერესოა, თუ როგორაა ასახული კაუზაციის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, ანალიზური ფორმები იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ხუნძური შედის დაღესტნურ ენათა ჯგუფში, კერძოდ, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ქვეჯგუფში, რომელშიც კაუზატივის საწარმოებლად გამოიყენება მეშველი ზმნა **ჰაბიზე** („კეთება“), რომელიც დაერთვის ძირითადი ზმნის ინფინიტივის ფორმას. მეშველი ზმნა ძირითად ზმნასთან შეიძლება იხმარებოდეს შეურწყმელადაც და შერწყმითაც. უკანასკნელ შემთხვევაში (შერწყმისას) ძირითადი ზმნა ინფინიტივის ფორმით კარგავს ბოლოკიდურ ხმოვანს (ე-ს), მეშველი ზმნა – თავკიდურ თანხმოვანს (ჰ-ს): შდრ. **ყოტიზე** „ჭრა“ – **ჰაბიზე** > **ყოტიზე** **ჰაბიზე** (შეურწყმელად)// **ყოტიზაბიზე** (შერწყმით) „ჭრევინება“, **ბაქიზე** „დანთება“ – **ჰაბიზე** > **ბაქიზე** **ჰაბიზე** // **ბაქიზაბიზე** „დანთებინება“ (ჩიქობავა... 1962: 339).

ხუნძურ ენაში დრო-კილოთა მიხედვით იცვლება მოდუსური ზმნა (ძირითადი ზმნა უცვლელია). შდრ. **ყოტიზე** **ჰაბიზე** // **ყოტიზაბიზე** „ჭრევინება“ – **ყოტიზე** **ჰაბულა** // **ყოტიზაბულა** „აჭრევინებს“ – **ყოტიზე**

ჰაბილა // ყოტიზაბილა „გააჭრევენებს“ – **ყოტიზე ჰაბუნა // ყოტიზაბუნა** „გააჭრევენა“ – **ყოტიზე ჰაბე // ყოტიზაბე** „გააჭრევენე“ და ასე შემდეგ.

იმ პირის სახელი, რომლითაც უშუალოდ ხდება მოქმედება, კაუზატიურ ზმნასთან გვხვდება ადგილობრივ ბრუნვაში: შდრ.:

ინს სუცა წულ **ყოტულა** „მამა შეშას ჭრის“ (უშუალო კონტაქტი).

ინსსუცა ა წულ ვასასგდა **ყოტიზაბულა** „მამა შეშას ვაჟიშვილს აჭრევენებს“ (შუალობითი კონტაქტი) (ჩიქობავა... 1962: 339).

მეშველი ზმნა **ჰაბიზე** („აკეთებს“), რომელიც კაუზატივს აწარმოებს ხუნძურში, ძირითადად კლასნიშნისანი ზმნაა, ამიტომ კაუზატიური სემანტიკის შემცველი ზმნა ყოველთვის ასახავს სახელობით ბრუნვაში დასმული რეალური ობიექტის გრამატიკული კლასისა და რიცხვის ნიშანსაც; შდრ. დოს დუშმან **ჭკნა** „მან მტერი მოკლა“; დოსდა დუშმან **ჭკაზა-ვ-უნ-ა** „მან მას მტერი მოაკვლევინა“. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი ზმნაც, რომლისგანაც კაუზატივი იწარმოება, კლასის ნიშნის შემცველია, მაშინ მასში გრამატიკული კლასი და რიცხვი ორმაგადაა გადმოცემული (გვხვდება როგორც ძირითად, ისე მეშველ ზმნაში: შდრ. დოსჩუ **ბ-ოსანა** „მან ცხენი იყიდა“, დოს ჩუდალ **რ-ოსანა** „მან ცხენები იყიდა“, დოს დიდა ჩუ **ბ-ოსიზ-ა-ბ-უნა** (ან ბ-ოს-ზე, ჰა-ბ-უნა) „მან მე ცხენი მაყიდვინა“. კაუზატივის წარმოება ხუნძურ ენაში ეს არის გზა გარდაუვალი ზმნისაგან ვაწარმოთ გარდამავალი ზმნა. არნოლდ ჩიქობავას აზრით, სწორედ მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბების გზა უკავშირდებოდა კაუზატივის წარმოებას, რომელიც არა მარტო ხუნძურს, არამედ ქართულ ენასაც ახასიათებდა (ჩიქობავა 1962: 247).

ლაკურ-დარგულ ენათა ჯგუფი

საინტერესო სურათს წარმოგვიჩენს სხვა ჩრდილოკავკასიური ენებისა და მათივე დიალექტების კაუზატიური კონსტრუქციები. მაგ., „**ლაკურში** კაუზატივი ძირითადად იწარმოება დამხმარე ზმნის **ზან** „კეთება“ მეშველობით: **ჩიჩინ** „წერა“ – კაუზატივი: **ჩიჩინან** „დაწერინება“.

კაუზატიური ფორმების უღვლილებების პროცესში ცვლილება ეხება მეშველ ზმნას. რეალური სუბიექტი (RS), იგივე (კაუზატივის ობიექტი), ე.ი. ეგზეკუტორი, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურიდანაც ცნობილი, ლაკური ენის კაუზატიურ ფორმებში დგას სახელობითსა ან ადგილობრივ ბრუნვაში. პირველ შემთხვევაში ზმნა ეთანხმება RS-ს, მეორე შემთხვევაში – უახლოეს („პირდაპირ“) ობიექტს (მაჰომედოვი 1977: 77).

ქართულიც იმავე სურათს გვიჩვენებს; თუ დავუკვირდებით, **რეალური სუბიექტი** (RS) (**შვილს** აწერინებს, **შვილს** დააწერინა) მიცემითი ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული I და II სერიაში. ზმნა ეთანხმება კიდევ პირდაპირ ობიექტსაც (**წერილს** აწერინებს, **წერილი** დააწერინა).

ჭორჭალ (ნათ. ბრ.), ნა (სახ. ბრ.). ჩადარ ჩიჩინ უნნა ან: ჭორჭალ თაუ (ადგ. ბრ.), ჩადარ ჩიჩინ ბუტნა „ბიჭმა დააწერინა წერილი“, სადაც თაუნ - I პირის ნაცვალსახელის **ნა**-ს ადგილობრივი ბრუნვაშია, რომელიც ლაკურში ერგატივის ფუნქციას ასრულებს. **დარგულში** კაუზატივის წარმოებისას საინტერესო სურათს გვიჩვენებს თითოეული დიალექტი, სადაც სხვადასხვა ფორმით გადმოიცემა. დიალექტებში ვლინდება მოდულური ზმნის მაწარმოებელ აფიქსად ქცევა. ე.ი. ანალიზური წარმოების კაუზატივი,

როგორც ამას აღნიშნავს ალ. მაგომედოვი, იქცევა ორგანული წარმოების კაუზატივად. ამ მხრივ დარგული სხვა სურათს ავლენს თაბასარანულსა და ხუნძურთან მიმართებით. მეცნიერი ცალ-ცალკე გამოყოფს თითოეულ დიალექტს და საილუსტრაციოდ მოჰყავს რამდენიმე ნიმუში თითოეული თქმისა თუ დიალექტისა. მაგ.:

სირხის დიალექტის **ჩირალის თქმაში** კაუზატივს აწარმოებს დამხმარე ზმნა **ბაჯი**, სადაც პრეფიქსი **ბ-** ცვლადი კლასის ნიშანია და კაუზატივის წარმოების პროცესში იცვლება მეშველი ზმნა, როგორც ამას მეცნიერი აღნიშნავს:

ბარყი „გაკეთება“ – **ბარყე-ბაჯი** „გაკეთებინა“, **ბარყე-ბაჯი** და „გაკეთებინე“.

რუჯილე (ერგ. ბრ.), **ბაბაილე** (ერგ. ბრ.). **ჟუზ აჯ(იე-ბაჯიბ** „გოგონამ აყიდვინა დედას წიგნი“.

კაუზატიურ მარკერებად გამოიყენება შემდეგი აფიქსები: **-იჯ** – ურახულში, **-აჯ** – უშურ, წუდახარულ, მეკებურ დიალექტებში, **-იხ/-ახ, -იჯ** – ხაიდაყურში.....

მეკებურ დიალექტში ნუნი (ერგ. ბრ.) **ბელჰ-აჯ -ირა დურსილიზე** (ადგ. ბრ.) **ქუნგ** „მე წავაკითხე გოგონას წიგნი“ (შდრ. **ბელჰეს** „წაკითხვა“, **ბელჰირა** „წავიკითხე“). **ხაიდაყ. დიალექტი**: უბალი (ერგ. ბრ.) რირსილცი (ადგ. ბრ.) მარჟ ბარიხიჟ, დედამ გააკეთებინა ქალიშვილს საქმე“ (შდრ. ბარიჟ „გაკეთა“) (მაჰომეტოვი 1977: 77).

საინტერესოდ აქვს წარმოდგენილი მეცნიერს **კუბაჩურში** კაუზატივის წარმოება, რომელშიც დიდი მნიშვნელობა აქვს ასპექტის კატეგორიას. უფრო მეტიც, განირჩევა ასპექტის მიხედვით. სრული ასპექტის წარმოება კაუზატივისა ისეთივეა, როგორც **აჯუშურში**:

ქაბილჰი „წაკითხვა“ – კაუზატივი: **ქაბილჰ-აჯ-ი** „წაკითხვინა“.

ბწყი „გაკეთება“ – კაუზატივი: **ბწყ-აჯ-ი** „გაკეთებინება“.

კაუზატივის ამ ფორმას მეცნიერი ორგვარად ხსნის: როგორც წარმოებული **-აჯ** აფიქსით, ანდა, როგორც წარმოებული ძირითადი ზმნის ფუძისაგან **აჯი** („გადალახვა“, „გავლა“) მეშველი ზმნით (მაჰომედოვი 1977: 77).

კაუზატიური ფორმების უღვლილება კუბაჩურში ორგვარია: ძირითადი ზმნის მიხედვით (ანალიზურ ფორმებში) და მეშველი ზმნის მიხედვით (სინთეზურ ფორმებში).

გარდამავალი ზმნისაგან წარმოებულ კაუზატიურ ფორმებში ეგზეკუტორის ბრუნვა დარგულ ენაში დიალექტების მიხედვით სხვადასხვა სურათს გვიჩვენებს: დიალექტების უმეტესობაში იგი ადგილობითი ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული (-ზი, -ცი/-ც-რ), **კუბაჩურში, წუდახარულში** და **სირხის** დიალექტის ჩირალის თქმაში – ერგატივის ფორმით. აქვე აქვს მეცნიერს საილუსტრაციო ნიმუშები წარმოდგენილი:

აჯუშ. დიალ.: დუდემლი (ერგ. ბრ.) ურშილიზი (ადგ. ბრ.) ქაღარ ბელკაკუნ;

კუბაჩ. დიალ.: ათადილ (ერგ. ბრ.) გალდილ (ერგ. ბრ.) კა ქაბგაჯად;

წუდახ. დიალ.: თაუთაემლი (ერგ. ბრ.) გალლე (ერგ. ბრ.) ურშილი (ერგ. ბრ.) ქაღარ ბელკაკუნ;

ჩირად. თქმა: დათხილე (ერგ. ბრ.) გალლე (ერგ. ბრ.) ჯადარ ბელჰე-ბაჯიბ „მამამ დააწერინა შვილს წერილი“ (მაჰომედოვი 1977: 78).

ამგვარად, კუბაჩურში, წუდახარულში და სირახის დიალექტის ჩირადის თქმაში გარდამავალი ზმნის კაუზატიურ კონსტრუქციაში ორივე სუბიექტს (ვერბალურ სუბიექტს და რეალურ სუბიექტს) ერგატივის ფორმა აქვს.

მეტად საინტერესოა ამ თვალსაზრისით ცირა ბარამიდის სტატია, რომელიც უშუალოდ ეხება თაბასარანული ენის ჩრდილო დიალექტის ტივაქის თქმაში კაუზატიურ კონსტრუქციებს. მეცნიერის თვალთახედვით: „ტივაქის თქმაში ანალიზური კაუზატივი იწარმოება ამგვარად: ამოსავალს პლუს მაკაუზატივებელი ზმნა (კაუზატივის მოდუსის ფუნქციით). მოდუსურ ზმნად გამოყენებულია ხაბთუზ „გაშვება“. ანალიზური კაუზატივების ამოსავალი ზმნურია. აღწერითი ფორმით იწარმოება როგორც პირველადი, ისე მეორეული კაუზატივები. კაუზატივის საფეხურს განსაზღვრავს მისი სემანტიკა: ერთვალენტისაგან იწარმოება ორვალენტის კაუზატივები და ზმნაში წარმოდგენილია აგრეთვე პირისა და კლასის ნიშნები ერთდროულად, როგორც ამას მეცნიერი აღნიშნავს და საილუსტრაციოდ მოჰყავს ნიმუშები. მაგ.:

ბაჰ დაჯნუჷ „ბიჭი დაწვა“

A სახ.

დადაჰი ბაჰ დაჯნუჷ ჯალ თანუჷ „დედამ შვილი დააწვინა“.

K ერგ. E სახ. ინფ. კაუზ. მოდ. ზმნა

ეგზეკუტორის ბრუნვის ცვლილებას განსაზღვრავს ის თუ: 1. აწვენს, თავის ნებას ასრულებს, თუ 2. აწვენს – ვაჟს თავად არ შეუძლია დაწოლა და ეხმარება. მე-2 შემთხვევაში ეგზეკუტორი სახ.-ში აღარ დგას, არამედ მიც.-შია.

ერთვალენტისანი ამოსავლისათვის მოქმედებს შეთანხმების შემდეგი კანონზომიერება: სახ.-ში მდგომი სახელი ეთანხმება პირში ძირეულ ზმნას:

იზუ ჯახნუ-ხა „მე დავიძინე“

S სახ. I პ.

ხოლო კაუზატიურ კონსტრუქციაში მიც.-ში მდგარი სახელი ეთანხმება მეშველ ზმნას:

დუღუ იზუს ჯახუს ჯალთანუჷ// ჯალთან-ის

K ერგ. E მიც. ინფ. კაუზ. I პ.

„მან მე დამაძინა“ (მაიძულა).

მოდუსი აქაც შეიძლება გაირჩეს განსხვავებული კონსტრუქციით; ეგზეკუტორი იქნება არა მიცემითში, არამედ – სახელობითში.

დუღუ იზუ ჯახუს ჯალთანუჷ

K ერგ. E-სახ. ინფ. კაუზ.

„მან მე დამაძინა“ (საშუალება მომცა დამეძინა).

სხვადასხვა მოდუსურ კაუზატიურ კონსტრუქციაში ორვალენტისანი და ერთვალენტისანი ლაბილური ზმნები განსხვავებულ სინტაქსურ წყობას გვიჩვენებენ.

სამვალენტისანი ამოსავლის შემთხვევაში თუ ეგზეკუტორის როლი დიდია და იძულების მოდუსურ სემანტიკას შეიცავს, ეგზეკუტორი აუცილებლად ერგატივშია (ბარამიძე 2007: 30-34).

მეტად საინტერესო სურათს გვიჩვენებს წარმოების თვალსაზრისით აფხაზურ-ადიღური ენები. ქეთევან ლომთათიძის გადმოცემით, აფხაზური კაუზატივს აწარმოებს ძირითადად რ- პრეფიქსით, რომელიც მარტივფუძიან ზმნებში გვხვდება, ხოლო რთულფუძიანებში მისი ადგილის განსაზღვრა ჭირს; ხან ჩართულია ძირის წინ რთულ ფუძეში, ხან წინაა რთული ფუძისა. კაუზატივის წარმოებისას ჩნდება ზმნაში ახალი პირი, პირდაპირ ობიექტური და გარდაუვალი ზმნა ხდება გარდამავალი. აგრეთვე დასაშვებია რაიმე ელემენტის (წინდებულით, ნაწილაკით) მონაწილეობით კაუზატივის წარმოება. ამავე მოსაზრებას გამოთქვამს ნანა მაჭავარიანიც. კაუზატივის მნიშვნელობა შეიძლება გადმოიცემოდეს ტ დანიშნულების აფიქსით. კაუზატივის წარმოებისას იცვლება სუბიექტის მესამე პირის მრავლობითობის ნიშნისა და ირიბის ობიექტის ნიშნის შეხვედრა კაუზატივის ფორმანტთან. ე. ი. აფხაზურში პრეფიქსი რ- გვხვდება სუბიექტის მესამე პირის მრავლობითისა და ირიბი ობიექტის ნიშნადაც. კაუზატივის ნიშანთან შეხვედრისას რ- ნიშანი დ-დ იქცევა (ფონეტიკურ ნიადაგზე) (მაჭავარიანი 2006). ქ. ლომთათიძის აზრით, დ- მაწარმოებელიც შეიძლება დავუკავშიროთ დარა ნაცვალსახელს, რაც არ გამორიცხავს ადამიანთა კლასის დ- ნიშანთან სიახლოვეს. ნიკო მარსაც აქვს გამოთქმული ამ ფაქტთან დაკავშირებით მოსაზრება. მეცნიერი თვლის, რომ რ- პრეფიქსს კავშირი უნდა ჰქონდეს ბასკური და სვანურის მრავლობითობის ნიშანთან.

„სამპირიანი ზმნებიდან კაუზატიურ შინაარსს აფხაზური ენა აღწერითი წარმოებით გამოხატავს. იმავე ათარა („მიცემა“) სამპირიანი ზმნისაგან კაუზატიური შინაარსის მქონე იქნებოდა გამოთქმა: **ულგრთარატყყასწწ** „შენ [მამაკ.] მას [დედაკ.] მათ რომ მიგცენ ვიქმ“ და სხვა. კაუზატივის უფრო ვრცელი გამოყენების მხრივ ყურადღებას იქცევს აფხაზურის პირიქითა დიალექტები, განსაკუთრებით ტაფანთური. აქ, ერთი მხრივ, კაუზატიური წარმოება ხშირია ისეთ ზმნებთან, რომლებთანაც პირაქეთა დიალექტებში კაუზატივი არ იქნებოდა ჩვეულებრივი. მაგ., **იზაირმად-([გ]** (ლომთათიძე 1945: 67, 10) – „მან (მამაკ.) ისინი „მორეკა“, უნასა(ი) **რსგზდგდრჩფატ-([გ]** (იქვე: 9) – „მან (მამაკ.) მათ ბრძანება აყოფინა მათთვის“. გარდა ამისა, იქვე ადგილი აქვს კაუზატივის ორმაგ წარმოებას, რაც აგრეთვე უცხოა **პირაქეთა** დიალექტებისათვის, ორკეცი კაუზატიური ფორმა ტაფანთურში დამახასიათებელია ისეთი ზმნებისთვის, რომელთანაც ჩვეულებრივ გარდამავლობა კაუზატიური წარმოების გზით მიუღიათ და ამ კაუზატიური ფუძიდან კვლავ აწარმოებენ კაუზატივს შუალობითი შინაარსისათვის და აფიქსსაც აორკეცებენ. მაგ., **იზაგვდგდრშატ-((გ))** (იქვე: 20) – „მან [მამაკ.] იმათ ისინი გარშემოავლებინა“ (**აკშარა** – გარშემოავლლებინა თავისით“, კაუზ. **აკვდშარა-** „გარშემოვლა სხვის მიერ“, ორმაგი კაუზატივი **აკვდვდშარა** – „გარშემოვლებინება“. ამ ნიადაგზე ორპირიან გარდამავალ ზმნათაგან გვიწარმოებდნენ ოთხპირიან ფორმებსაც, მაგ., **ილგვსგვდრჩფატ** – „მე ვაიძულე ის [დედაკ.], რომ მას აეძულებინა ის [დედაკ.], რათა მას ის [რაღაც] გაეკეთებინა“. ეს კაუზატიური წარმოებები პირიქითა აფხაზურში ადიღურ ენათა გავლენით წარმოქმნილი ჩანან (იქვე: 91-91).

დასკვნა

ამრიგად, ანალიზური კაუზატივის განხილვამ იბერიულ-კავკასიურ ენებში ნათელყო, რომ დასახელებულ ენებში არ განვითარდა ორგანული წარმოება კაუზაციისა და ძირითადად აღწერითი ფორმითაა დღესაც. მაგ., თაბასარანული, ხუნძური დალესტის ენათა რამდენიმე ჯგუფი, გარდა დარგული ენის დიალექტებისა, სადაც მეშველი ზმნა გარდაიქმნა აფიქსად. ე.ი. აღწერითი წარმოების კაუზატივი ორგანული ტიპის კაუზატივად იქცა. ამ კუთხით კვლევამ საინტერესო სურათი დაგვანახა ქართულსა და ჩრდილო-კავკასურ ენებში. თუ დავუკვირდებით, ქართული ენის მოდულური ზმნაც იცვლება სერიებისა და მწკრივების მიხედვით ისევე, როგორც სხვა ენების დანარჩენი მოდულური ზმნები. ყველა მოდულური ზმნა გარდამავალია და გვხვდება ინფინიტიურ ფორმასთან ერთად. ჩვენთვის ცნობილია, რომ კაუზატივი, როგორც მორფოლოგიური კატეგორია ზმნისა, ქართულში XII საუკუნის შემდეგ ფიქსირდება. ვფიქრობთ, ეს არ ნიშნავს იმას, რა თქმა უნდა, რომ არ არსებობდა კაუზაცია. კაუზაცია არსებობს ენაში, მაგრამ არა მორფოლოგიურად, არამედ სემანტიკურად, რასაც ადასტურებს უძველესი წერილობითი ძეგლები. ენა იყენებს კონტაქტის მარკერებს, მაგრამ არა იმ ფუნქციით, რაც დღეს აქვს, არამედ კაუზაციის არსს გადმოსცემს სემანტიკურად. ჩვენი ვარაუდით, უძველეს პერიოდში ქართულმა ენამ ისევე, როგორც სხვა იბერიულ-კავკასიურმა ენებმა, კაუზაცია გამოხატა აღწერითად და დროთა ვითარებაში ანალიზური კაუზატივის აღმნიშვნელი მოდულური ზმნა ცვდება და იქცევა მორფოლოგიურ ზნურ მარკერად სხვადასხვა ფუნქციით და მნიშვნელობით. შეიძლება ასე ითქვას, ანალიზური წარმოება დასახელებულ ენებში აღმოჩნდა გარდამავალი სახეობა მორფოლოგიური კაუზატივის ჩამოყალიბებამდე. ეს უნდა მიაწინებდეს, რომ ანალიზური წარმოება სწორედ ეს გზა უნდა იყოს. ქართული ენის ისტორია ამით გვიდასტურებს კავშირს მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან და აღწერით სახეობას გვიჩვენებს გარდამავალ ეტაპად, რაც საბოლოოდ აყალიბებს მორფოლოგიურ კაუზატივს. ბევრმა ენამ (თაბასარანული, ხუნძური...) დღემდე ვერ ჩამოიყალიბა მორფოლოგიური კაუზატივი. მორფოლოგიური მარკერები გამოიყენება ეკონომიზმის პრინციპით, განსხვავებული სინტაგმატიკითა და ფუნქციური დატვირთვით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კაუზატივი დაკავშირებულია გარდამავლობასთან; გვაქვს ერთი ფორმა (გარდამავალი ზმნისა), რომელსაც შეუძლია გამოხატოს როგორც გარდამავლობა, ისე კაუზატივი. გარდამავლობა იბერიულ-კავკასიურ ენებში გამოიხატება პირდაპირი ობიექტის პრიორიტეტით მარკირების სისტემაში. ეს კი ახასიათებს მხოლოდ ერგატიულ ენებს. II სერია იმიტომაც აქტიური ძველ ქართულში, რომ მხოლოდ II სერიამ შემოინახა ერგატიული კონსტრუქცია გარდამავალი ზმნებისთვის, ადრე საერთოდაც არ იყო სერიები, რადგან არ არსებობდა საჭიროება.

მოდულური ზმნების სემანტიკა კეთებასა და დაშვებასთან არის დაკავშირებული, ყველა გარდამავალია და კონსტრუქციის გარდამავლად გადაიქცევი. აღსანიშნავია მოდულურ ზმნებში რეციპიენტის ვალენტობა, რომელიც შეიძლება გადმოცემული იყოს პირით, კლასით, ნულით.

დამოწმებული ლიტერატურა

ბარამიძე 1964: ბარამიძე ლ., ზოგიერთი ტიპის მემველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში. თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9. თბილისი, 1964.

ბარამიძე 2007: ბარამიძე ც., კაუზატორი და ეგზეკუტორი თაბასარანული ენის ტივაქის თქმის კაუზატიურ კონსტრუქციებში. კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მასალები. თბილისი, 2007.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება 1986: გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. სასკოლო გამოცემა. თბილისი, 1986.

ლომთათიძე 1945: ლომთათიძე ქ., კაუზატივის კატეგორია აფხაზურში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, №1. თბილისი, 1945.

მაჰომედოვი 1977: მაჰომედოვი ალ., კაუზატივი ლაკურ-დარგულ ენათა ჯგუფის ენებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადური, IV. თბილისი, 1977.

მაჭავარიანი 2006: მაჭავარიანი ნ., სინტაქსურ მიმართებაში შემავალი ზმნური კატეგორიები აფხაზურსა და ქართულში. თბილისი, 2006.

სარჯველაძე 1984: სარჯველაძე ზ., ქართული საიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბილისი, 1984.

სარჯველაძე 2004: სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენა (ტექსტებითა და ლექსიკონითურთ), თბილისი. 2004.

საღინაძე 2008: საღინაძე რ., ძველი ქართული ენა (V-XI საუკუნეები). თბილისი, 2008.

ჩიქობავა... 1962: ჩიქობავა არნ., ცერცვაძე ილ., ხუნძური ენა. თსუ კავკასიურ ენათა კათედრის შრომები, II. თბილისი, 1962.